



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49233004

თარიღი:27/10/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.44.082; ფართით - 2784.0 კვ.მ.) მრავალფუნქციური, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის განხორციელებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების - უარის შეთანხმების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 5 ოქტომბრის №48-482327841 და 12 ოქტომბრის N48-4823285113 წერილები, რომლებშიც აღნიშნავს, რომ მან განიხილა მოქალაქე თამაზ კიკვაძის განცხადება (თანდართული მასალებით) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.44.082; ფართით - 2784.0 კვ.მ.) მრავალფუნქციური, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის განხორციელებისათვის განაშენიანების გენერალური გეგმის კონცეფციის შეთანხმების თაობაზე და თავის წერილში მოყვანილ რიგ არგუმენტირებულ მიზეზთა გამო მიიღო გადაწყვეტილება ამ ეტაპზე უარი ეთქვას მოქალაქე თამაზ კიკვაძეს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-სა და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N261 დადგენილების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებულ იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება - უარი მოქალაქე თამაზ კიკვაძისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.44.082; ფართით - 2784.0 კვ.მ.) მრავალფუნქციური, მრავალბინიანი სახლის მშენებლობის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შეთანხმების შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

